ფეხბურთი
თბილისის `დინამოს" გამარჯვება

გუშინ, 22 სექტემბერს, ლ. ბერიას სახელობის თბილისის `დინამოს" სტადიონზე მოეწყო ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის `დინამოსა" და რიგის "დაუგავას" გუნდები. პირველ წრეში აღნიშნულ გუნდებს შორის შეხვედრა დამთავრდა ფრედ (1:1).

მატჩის დასაწყისი აღინიშნა რიგელთა ენერგიული იერიშებით, "დაუგავას" გუნდის თავდამსხმელები თავისუფლად გადიოდნენ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. უკვე მე-4 წუთზე ლევიტანუსმა ("დაუგავა") გახსნა ანგარიში. მე-15 წუთზე 35 მეტრის მანძილიდან რიგელთა ნახევარმცველმა კარიჩევმა ძლიერი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ვარდიმიადიმ შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა სტუმრების კარში.

მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:1 რიგის "დაუგავას" გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. პასიურად მოთამაშე თბილისელთა მარჯვენა გარემარბის ჭკუასელის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე, რომელმაც დაიკავა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი, ხოლო ვარდიმიადიმ გადაინაცვლა მარჯვენა ფრთაზე. თბილისელებმა ენერგიულად შეუტიეს სტუმრების კარს. განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა თბილისელთა თავდასხმის ცენტრალური სამეული პაიჭაძე-ღოღობერიძე-მახარაძე. მე-18 წუთზე მახარაძემ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ორი წუთის შემდეგ ბორის პაიჭაძემ თავური გარტყმით იშვიათი სილამაზის ბურთი გაიტანა "დაუგავას" კარში. რიგელები დაიბნენ. ისინი ვერ აკავებდნენ თბილისელ თავდამსხმელთა ელვისებურ იერიშებს. 25-ე წუთზე ბორის პაიჭაძემ მარცხენა ფრთიდან ძლიერი დარტყმით მეოთხედ აიძულა სტუმრების მეკარე ვინოგრადოვი გამოეტანა ბურთი თავისი ბადიდან. 31-ე წუთზე ღოღობერიძემ მეხუთე ბურთი გაიტანა. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

"ლელო", 23 სექტემბერი 1950 წ.